რუსუდან კობრავა
სსიპ აჭარის მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ისტორიის მიმართულების ხელძღვანელი
Rusudan Kobrava
Head of the History Department at the Khariton Akhvlediani Museum

იარაღის ისტორიიდან აჭარაში (მაჭახელას თოფის მიხედვით)

From the History of Weapons in Ajara (Based on the Machakhela Rifle)

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.03

აბსტრაქტი: ჭარა ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების (კაჟიანი თოფი და დამბაჩა, ხანჯალი, იატაგანი და სხვა) წარმოებით ერთ-ერთი დაწინაურებული ცენტრი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იარაღების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა და ქვედა აჭარა. ამ ცენტრებში დამზადებულ საბრძოლო იარაღებს საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა. ფართო მოწონებით სარგებლობდა არა მარტო თვით რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაჭახლური წარმოების იარაღი ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში აღწევდა.

მაჭახლის ხეობასა და აჭარის სხვა სახელოსნო ცენტრებში ორი სახის თოფი იწარმოებოდა თოფხანე და ნალფარა. ნაკეთობის ხარისხით თოფხანეს გამოარჩევდა ხრახნილი ლულა, რომელიც მასიური რკინისაგან მზადდებოდა. იგი მეტწილად ვერცხლითა და ძვლით იყო მოსევადებული. ნალფარა თოფის ლულა კი რკინის ნაჭრების შეერთება- შედუღებით მიიღებოდა და ხარისხით თოფხანეს ჩამოუვარდებოდა. თოფისა და დამბაჩის ფასსაც ნაკეთობის ხარისხი(ლულისა და კონდახის შემკულობა) განსაზღვრავდა. თოფებსა და დამბაჩებს ძირითადად შეკვეთით ამზადებდნენ. ანაზღაურება ფულით ან ნატურით ხდებოდა.თოფის ფასს ლულის, აგრეთვე ჩახმახისა და კონდახის შემკულობა განსაზღვრავდა. თოფის ლულა მზადდებოდა სპეციალურ დაზგაზე, რომელსაც თოფის ჩარხი ეწოდებოდა.

სამჭედლო სახელოსნოები განლაგებული იყო ცალკე ნაგებობის სახით, ასევე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე.მასში ჩვეულებრივ 2-3 და მეტი მჭედელი მუშაობდა,რომელთაგან ერთი უსტაბაშის(მთავარ ოსტატ მჭედლად ითვლებოდა), მეორე და მესამე პირი შეგირდის ან ცალკე დამხმარის როლს ასრულებდა.სამჭედლო საქმე მამიდან შვილზე და ახლო ნათესავებზე მემკვიდრეობით გადადიოდა.

XIX საუკუნეში ევროპული, კერძოდ ინგლისური, ფრანგული, ბელგიური და სხვა უცხოური, აგრეთვე ტულის წარმოების იაფფასიანი იარაღების გავრცელებამ კავკასიასა და საქართველოში თანდათან შეზღუდა ადგილობრივი იარაღების წარმოება. საომარი იარაღების ფართოდ წარმოების საბოლოოდ დაცემაზე გარკვეული გავლენა იქონია აგრეთვე საუკეთესო მეიარაღე -ხელოსნების მუჰაჯირად წასვლამ. თუმცა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის I მეოთხედში აჭარასა და ახალციხეში კვლავაც მზადდებოდა ცეცხლსასროლი (თოფი, დამბაჩა) საბრძოლო იარაღები, მაგრამ მას წინანდებურად ფართო მასშტაბი არ ჰქონია.

დღეს მაჭახლის ხეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელოსნები, რომლებიც ცდილობენ ამ უძველესი ტრადიციის გაგრძელებას, თუმცა ძირითადად დეკორატიულ ნიმუშებს ამზადებენ.

სტატიაში მრავალ წყაროზე დაყრდნობით შესწავლილია აჭარაში იარაღის წარმოების ისტორია, ჩამოთვლილია წარმოების ცენტრები, აღწერილია იარაღის სახელოსნო და იარაღის დამზადების პროცესი, გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს ადგილობრივი იარაღის დამზადების ტემპის დაცემა. მოცემულია ინფორმაცია მაჭახლის ხეობაში დღეისთვის არსებული იარაღის სახელოსნოებზე.

საკვანძო სიტყვები: იარაღის წარმოება, თოფი მაჭახელა, სამჭედლო სახელოსნო, თოფის ჩარხი, ლულის დამზადება.

Abstract: Ajara was one of the leading centers for the production of firearms and cold weapons (flintlock rifles and pistols, daggers, yataghans, etc.) in southwestern Georgia. The Machakhela gorge and Lower Ajara were particularly distinguished for weapon manufacturing. The combat weapons produced in these centers also served a market purpose. They enjoyed wide popularity not only within the region itself but also beyond its borders. Weapons of Machakhela production reached various parts of the former Ottoman Empire.

Two types of rifles, Tofkhane and Nalfara, were produced in the Machakhela gorge and other workshop centers of Ajara. In terms of craftsmanship, the Tofkhane was distinguished by a rifled barrel made of solid iron. It was predominantly decorated with silver and bone. The barrel of the Nalfara rifle, on the other hand, was made by joining and welding iron pieces together and was inferior in quality to the Tofkhane. The price of both rifles and pistols was determined by the quality of the craftsmanship (the ornamentation of the barrel and the buttstock). Rifles and pistols were primarily made to order, and payment was made in cash or in kind. The price of a rifle was dictated by the decoration of the barrel, the firing mechanism (lock), and the buttstock. The rifle barrel was manufactured on a special machine called a rifle lathe.

Blacksmith workshops were situated either as separate structures or on the ground floor of residential houses. Usually, two to three or more blacksmiths worked in them; one was considered the Ustabashi (the chief master

blacksmith), while the second and third persons served as apprentices or separate assistants. The craft of blacksmithing was passed down by inheritance from father to son and to close relatives.

In the 19th century, the spread of cheap European weapons specifically English, French, Belgian, and other foreign makes, as well as those produced in Tula gradually limited the production of local weapons in the Caucasus and Georgia. The emigration of the best master gunsmiths as Muhajirs also had a definitive impact on the ultimate decline of the large-scale production of combat weapons. However, in the 1880s and 1890s, as well as in the first quarter of the 20th century, combat firearms (rifles, pistols) were still being manufactured in Ajara and Akhaltsikhe, though no longer on the same large scale as before.

Today, there are still craftsmen in the Machakhela gorge who strive to continue this ancient tradition, although they primarily produce decorative specimens.

Based on numerous sources, the article explores the history of weapon production in Ajara, lists the production centers, describes the weapon workshops and the manufacturing process, and analyzes the factors that led to the decline in the pace of local weapon production. Furthermore, information is provided regarding the weapon workshops that currently exist in the Machakhela gorge.

Keywords: weapon production, Machakhela rifle, blacksmith workshop, rifle lathe, barrel manufacturing.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყო. ამ პროცესმა, ბუნებრივია, თოფ-დამბაჩების მოსახლეობაში გავრცელებას შეუწყო ხელი. მოსახლეობაში თოფების მასობრივად გავრცელება ადგილობრივი წარმოების განვითარებამ განაპირობა.საქართველოში თოფ-დამბაჩების დამზადების ტექნოლოგია ოსმალეთიდან უნდა შემოსულიყო, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების საქმეში გაცილებით წინ იდგა და სტამბოლში დამზადებული თოფები ძვირად ფასობდა. საქართველოში თავდაპირველად სავარაუდოდ პატრუქიანი თოფებს ამზადებდნენ, XVIII ს. II ნახევრიდან კი კაჟის ჩახმახიან თოფებს. საქართველოში თოფ- დამბაჩების დამზადების კერებად მიიჩნევა თბილისი, სამეგრელო, სვანეთი, ასევე მაჭახლის ხეობა და სხვა ადგილები [თაბუაშვილი, 2016:270].

აჭარა ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების (კაჟიანი თოფი და დამბაჩა, ხანჯალი, იატაგანი და სხვა) წარმოებით ერთ-ერთი დაწინაურებული ცენტრი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იარაღების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა და ქვედა აჭარა.

იარაღის ხელოსანთა გენეალოგიის შესწავლით ირკვევა, რომ თოფებისა და დამბაჩების დამზადების საქმე მაჭახლის ხეობაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე მაღალ დონეზე იდგა. წინა

პერიოდში იარარების წარმოებაზე ეთნოგრაფიული მასალების მოპოვება რთულდება. აღნიშნული პერიოდის შესახებ არც წერილობითი ცნობები მოგვეპოვება. უეჭველია ცეცხლსასროლი იარაღების დამზადება მაჭახლის ხეობაში და საერთოდ აჭარაში უფრო ადრეცაა სავარაუდებელი, რამდენადაც XVIII საუკუნის აღნიშნული დონე ცარიელ ადგილზე ვერ აღმოცენდებოდა [კახიძე, 2004:39]. ამის შესახებ საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალების გარდა, საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

აჭარაში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების წარმოებაზე ერთ-ერთი წერილობითი ცნობა გვხვდება სტატიაში „შენიშვნები ლაზისტანზე," რომელიც 1867 წელს დაიბეჭდა „კავკასიის კალენდარში." როგორც სტატიიდან ჩანს, ლაზისტანის სანჯაყში შემავალი 11 ყაზიდან ანუ მაზრიდან (ბათუმი, ჩურუქსუ, ზედა აჭარა, ქვედა აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონიო, ხოფა, არქავე, ხემშინი, ათინა) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები მხოლოდ ორ ყაზაში- მაჭახელსა და ქვემო აჭარაში მზადდებოდა.

ქვედა აჭარაში იარაღის წარმოებაზე XIX საუკუნის 70-იან წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა თავის ანგარიშებში ინგლისელი კონსული ტრაპიზონში ჯიფოლდ პალგრევი. მისი დახასიათებით, აქ არ მოიპოვებოდა არც ერთი დუქანი, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი ყოფილა თოფ-იარაღის სახელოსნო, სადაც აკეთებდნენ თოფებს, დამბაჩებს, სატევრებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ კარგი ნაკეთობით და ადგილობრივი გემოვნების მიხედვით ვერცხლის ლამაზი მოჭედილობით [კახიძე, 1974:93].

XIX საუკუნის 80-იან წლებში აჭარაში იმგზაურა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ. მისი ცნობით, ქედაში „ყოველ პარასკევს ვაჭრობა იმართება, სადაც ქვემო აჭარის მოსახლეობა ასაღებს თავის ნაწარმს: მაუდს, იარაღს, თოფის ლულებს, სანოვაგეს, კარაქს და ხილს [მურიე, 1962:39].

ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე აღწერს იმ ლოკალურ ცენტრებს, სადაც მზადდებოდა ცეცხლსასროლი იარაღები: „ამასთან მე სავსებით ვიზიარებ Notice sur Batoum-ის აზრს იარაღის დამზადების ადგილების შესახებ. მართლაც, თოფებს, იატაგანებსა და სხვა ცივ იარაღს ქვემო აჭარაში ამზადებენ-მაჭახელში(მის საზღვარზე), ცხმორისსა, საღორეთსა და ახოში. ეს იარაღი, განსაკუთრებით თოფები, ცნობილია მაჭახელას სახელით და განთქმულია არა მარტო აჭარაში, თვით იმერეთშიც [ბაქრაძე, 1987:71].

XIX საუკუნის მოგზაური-მკვლევარები, რომლებიც ოსმალთა ბატონობის დროინდელ აჭარას ეხებიან, განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას მაჭახლის ხეობაზე. როგორც ირკვევა, ამ ხეობისადმი განსაკუთრებული ინტერესი სხვა გარემოებებთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ ისტორიულად აქ ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა ლითონდამამუშავებელი ხელოსნობა. კერძოდ კი „მაჭახლად" წოდებული თოფებისა და დამბაჩების, ასევე მარალხარისხოვანი ცივი საბრძოლო იარაღების წარმოება.

მაჭახლის ხეობა XI –XII საუკუნეებიდან მოყოლებული ცალკე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდა და აქტიურ როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პერიოდში ხეობაში გამავალ გზას უნდა ჰქონოდა სავაჭრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც, რომლითაც როგორც უახლოესი გზით, შავშეთ-კლარჯეთის პროვინციები შავი ზღვის ახლო სანაპირო კუთხეებს უკავშირდებოდნენ [კახიძე, 1974:94].

აღნიშნული პერიოდის ავტორთაგან მაჭახლის ხეობაში საბრძოლო იარაღის დამზადებას ეხებიან გიორგი ყაზბეგი, დავით წერეთელი, თედო სახოკია, პ.ლისოვსკი და სხვა. ჩამოთვლილ ავტორთა ცნობები ერთობ ზოგადი ხასიათისაა. დავით წერეთლის ცნობით, 1878 წელს მაჭახელში 30 მარტო სამხედრო იარაღის მკეთებელი ყოფილა. მისი თქმით, თოფი „მაჭახელა“ ნაქები ყოფილა მთელ კავკასიაში და ყირიმში დამზადებულ თოფზე წინ მდგარა. გურიაშიც „მაჭახელა“ თოფები ყოფილა გავრცელებული [წერეთელი, გაზ.„დროება’ 1878: N 238]. პ. ლისოვსკი წერდა: „თურქეთის ბატონობის დროს მაჭახლის ხეობა განთქმული იყო ცეცხლსასროლი და ცივი აზიური იარაღების წარმოებით. თოფები და დამბაჩები აქედან გაჰქონდათ მთელ მხარეში და აღწევდა აგრეთვე გურიაში, ახალციხესა და ყარსის ოლქებში“მაჭახელას“ სახელწოდებით, რომელიც ითვლებოდა მაღალი ღირსების იარაღად.“. [Лисовский, 1886:117].

საკითხს შედარებით დაწვრილებით მიმოიხილავს ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც XIX საუკუნის 90-იან წლებში იმოგზაურა აჭარის მრავალ სოფელში და მათ შესახებ ძვირფასი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები დაგვიტოვა. „ძველად, მაჭახელში, განთქმული იყო საომარი იარაღის კეთების ოსტატობა. მთელ დასავლეთ საქართველოში ქებული იყო ეს კუთხე ასეთ იარაღთა ხელოსნობით, მაჭახლელებს ასეთის კარგის ხელობის ცოდნით ძველადგანვე იცნობდენ ათაბეგში, გურიელები, დადიანები, შარუაშიძეები, დადიშქელიანები, მთავარნი და მეფენი ქართველთა. საქართველოს ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ მაჭახლელებმა სახელი განითქვეს ოსმალეთშიაც, ნამეტურ სტამბოლს, დიარბექირს, ქურთისტანს, შამს და სხვა უშორეს ადგილებშიაც.“[ჭიჭინაძე, 1905:12]. მისი თქმით, „სტამბოლში, ყველა ფაშის სახლში და სახელმწიფო კაცთა იარაღს მაჭახელი პირველობდა, მათს მკერდს და გულს ესენი ამშვენებდენ. ოსმალეთში ყველა მეომარმა იცოდა მაჭახლურ ოსტატურ იარაღების მნიშვნელობა“ [ჭიჭინაძე, 1905:13]. ამიტომაც „მაჭახლის იარაღს ქებით მოიხსენებენ მეზღაპრენი თავიანთ ზღაპრებში, მეშაირანი და მელექსენი. შაირებში იტყვიან ასე: – „მაჭახელი, ან სტამბოლი“, ე. ი. იარაღი უნდა იქმნეს მაჭახლის, ან სტამბოლსაო.“[ჭიჭინაძე, 1905:14]..

მაჭახელას თოფის დამზადების ისტორია მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს აქვს შესწავლილი.ნ.კახიძის ინფორმაციით, აჭარაში იარაღის ხელოსნობის ცალკეულ ლოკალურ ცენტრებს წარმოადგენდა ზედა ჩხუტუნეთი, ცხემლარა, გორგაძეთი, ქავთარეთი, ზედვაკე, ევფრატი(მაჭახლის ხეობა). (ხერთვისი, ზედვაკე, ევფრატი მოქცეულია თურქეთის საზღვრებში). აგრეთვე ცხმორისი,

საღორეთი, ახო(ქვედა აჭარა). XIX საუკუნის II ნახევარში იარაღი მზადდებოდა ცხმორისში-ჭვანის ხეობაში, ხულოში (ზედა აჭარა). სოფელ ზედა ჩხუტუნეთში იარაღის ცნობილი მემკვიდრეობითი ხელოსნები იყვნენ ლომან-უსტა ნაგერვაძე, მისი შვილი ხასან-უსტა და შვილიშვილი ახმედ უსტა. იარაღის დამზადებას მისდევდა ახმედ უსტას ხუთივე შვილიც, რომლებიც XIX ს. 90-იან წლებში თურქეთში გადახვეწილან მუჰაჯირად. ორ მათგანს იარაღის სახელოსნო თურქეთშიც გაუმართავთ. ამავე სოფელში თოფების დამზადებას მისდევდნენ ქუჩუკ-უსტა და ყვედიბეგ- უსტა კახიძეები. მეიარაღე კახიძეებიც მუჰაჯირობის მსხვერპლი გამხდარან.ქარხნული თოფების შეკეთებითა და ფილთა თოფების დამზადებით გამოირჩეოდა აგრეთვე ყადირ-უსტა ძნელაძე(გარდაიცვალა 86 წ. ასაკში 1942 წ).

სოფელ ხერთვის- ქავთარეთში ასევე მემკვიდრეობით მეიარაღე ხელოსნები იყვნენ ბიძაშვილები ისმაილ და ხუსეინ, ძმები ჯინახმედ აღა და ბექირ აღა ქავთარაძეები, აგრეთვე მათი ორი შვილი, სოფელ გორგაძეთში -გორგაძეები და გვიანიძეები, სოფელ კირნათში -გაბიტაძეები და დარდფინოღლები(დიდმანიძეები).

საველე ეთნოგრაფიული მასალებით ქვედა აჭარის ხელოსნური ცენტრებიდან ცეცხლსასროლი იარაღების დამზადებას XIX ს. II ნეხევარში უფრო ფართო ხასიათი ცხმორისში ჰქონდა. ამ პერიოდისათვის ცხმორისში 25 სამჭედლო არსებობდა, სადაც ფილთა და კაჟიან თოფებს აკეთებდნენ. ერთი თოფის გაწყობას დამხმარესთან ერთად 10-15 დღე სჭირდებოდა.ცხმორისელ მჭედლებს შორის გამოირჩეოდნენ ძმები ჰაჯი აღა, ჰაჯი თოფალი და ხელილ მიქელაძეები, გულო ბერიძე. ხულოში იარაღის ხელოსნები იყვნენ ა. ქონიაძე, რომელიც სოფ. დეკანაშვილებიდან იყო. ჭვანის ხეობაში (სოფ. ცივაძეები) სელიმ ქარცივაძე, რომელიც ოქრო-ვერცხლით მოჭედილ კაჟიან თოფებსა და დამბაჩებს ამზადებდა, ზემო ხევში -ქათამაძეები, სოფელ ტაკიძეებში-ი. ტაკიძე, დანდალოში სურგულაძეები. ჩამოთვლილ მეიარაღეთაგან საზოგადოებაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ს. ქარცივაძე. მას დიდად აფასებდა ზემო აჭარის ოკრუგის მაშინდელი უფროსი, რომელიც ს. ქარცივაძის ნაჩუქარ თოფს ატარებდა [კახიძე,2004:36].

სამჭედლო სახელოსნოები განლაგებული იყო ცალკე ნაგებობის სახით, ასევე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. მასში ჩვეულებრივ 2-3 და მეტი მჭედელი მუშაობდა,რომელთაგან ერთი უსტაბაშის(მთავარ ოსტატ მჭედლად ითვლებოდა), მეორე და მესამე პირი შეგირდის ან ცალკე დამხმარის როლს ასრულებდა.სამჭედლო საქმე მამიდან შვილზე და ახლო ნათესავებზე მემკვიდრეობით გადადიოდა. თოფისა და დამბაჩის დამზადებაში ყველაზე რთულ და ხანგრძლივ შრომას მოითხოვდა ლულის დამზადება, რომელიც მეიარაღე-ხელოსნის დიდ ცოდნა-ჩვევებსა და დახელოვნებას საჭიროებდა. სალულე რკინას სათანადო სიგრძით გრდემლზე გააბრტყელებდნენ და შემდეგ მილისებრ ფორმას აძლევდნენ ისე, რომ შიგნით საკმაო რადიუსის ამოვსებული ხვრელი

დარჩენილიყო. შემდეგ პროცესს შეადგენდა ლულის მთელ სიგრძეზე ნახევარი სანტიმეტრის სისქის მქონე გახურებული ფოლადისა და რკინის თითო კაჭკაჭის ანუ ბაფთის წრიულად, სპირალისებურად შემოხვევა.ამგვარად დამზადებულ ლულას სიბნელეში შეადურებდნენ. შედუღების დროს ბაფთები რომ არ გამდნარიყო, შედულების დროს მათ გამდნარ სილას აყრიდნენ.

მომდევნო პროცესი „ლულის მოხვეწა“ ანუ ლულის ხვრელის გაბურღვა და მისთვის „შაშხანის“ ანუ ხრახნილის გაკეთება იყო. ეს პროცესი სრულდებოდა საგანგებო დაზგაზე, რომელსაც „თოფის ჩარხი“ ეწოდებოდა (სურ.1-2). თოფის ლულებს ხრახნილს სათანადო კალიბრის მრგვალი „გვერდითი კბილებიანი“ ფოლადის რიკების საშუალებით უკეთებდნენ. ასეთ რიკებს თვითონ თოფის მოხელეები ამზადებდნენ.კბილების სიდიდის მიხედვით ისინი ოთხნაირი იყო. პატარა კბილებიანი რიკი ლულას „ოდნავ გაღარავდა“, მომდევნო მსხვილკბილიანი ღარს (ხრახნილს) გააფართოვებდა და ა. შ. ლულა გირაგზე მაგრდებოდა, რიკს კი ზევიდან ჩაქუჩის დარტყმით აძლევდნენ მიმართულებას. ასეთნაირად დამზადებულ ლულას წყალნარევ შაბის ხსნარში „ხარშავდნენ’, რისთვისაც გამოყენებული იყო გრძელი, ცილინდრისებური ფორმის სპილენძის ჭურჭელი ყუბური. ერთ ყუბურში 3-4 ლულის გამოხარშვა შეიძლებოდა. ეს პროცესი ბუხრის ან ქურის ცეცხლზე სრულდებოდა და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. გამოხარშვის შემდეგ რკინისა და ფოლადის გარდიგარდმო შემოხვეული ბაფთები ლულას ბზინვარეს ხდიდა.

რთულ პროცესს შეიცავდა ჩახმახის დამზადებაც. იგი რკინისაგან მზადდებოდა, მაგრამ კაჟის ჩამოსაკვრელ ადგილას ლითონის ფირფიტა უკეთდებოდა. თავდაპირველად ჩახმახზე ფირფიტას ხრახნებით ამაგრებდნენ, შემდეგ კი შედუღების წესით. შესადუღებლად სილასთან ერთად კვერცხის ნაჭუჭს იყენებდნენ. თოფის ხის ნაწილს კონდახს კაკლისა და ლეკის ხისაგან ამზადებდნენ. ბზისა და მსხლის ხისაგან კეთდებოდა სხვადასხვა სიდიდის გულის მოყვანილობის საპირისწამლეები [კახიძე, 1974:101-103.კომახიძე, 2010: 329-330].

მაჭახლის ხეობის სახელოსნო ცენტრებში ორი სახის თოფი იწარმოებოდა „თოფხანე“ და „ნალფარა.“ თოფხანა ღორჯომის ხეობაშია ცნობილი, ნალფარა კი ქვემო აჭარაში. ორივე „მაჭახლის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. თოფხანე ნაკეთობით გამოირჩეოდა. იგი მეტწილად ვერცხლითა და ძვლით იყო მოსევადებული, ზოგ შემთხვევაში კი მას ოქრო-ვერცხლით ამკობდნენ. ნალფარა შემკულობითა და ლულის დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით თოფხანეს ჩამოუვარდებოდა. (ქართელი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:332). თოფის ფასსაც არსებითად ლულის, აგრეთვე ჩახმახის ხარისხიანობა და კონდახის შემკულობა განსაზღვრავდა. საინტერესოა თვით ტერმინი „ნალფარა,“ როდესაც რკინა არც თუ ისე იოლი საშოვარი იყო, თოფის თუ დამბაჩის ლულა „ნალფარისაგან“ მზადდებოდა. ეს ტერმინი მჭედლობაში გულისხმობს რკინის ნაკუწებისაგან, მათ

შორის „გაცვეთილი“ ნალებისაგან“ რაიმე ნივთის დამზადებას. ამგვარი ახსნა აქვს „ნალფარას“ რაჭის, ქართლის, მთიულეთის და საქართველოს სხვა კუთხის მჭედლობაში.

თოფებსა და დამბაჩებს ძირითადად შეკვეთით ამზადებდნენ. ანაზღაურება ფულით ან ნატურით ხდებოდა.თოფის ფასს ლულის, აგრეთვე ჩახმახისა და კონდახის შემკულობა განსაზღვრავდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „მაჭახლის იარაღი ისეთ ფასებში ყოფილა რომ თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი 20 მანეთიდა ნ 300 მანეთამდე ავიდოდა და უფრო მეტ ფასიანიც იქმნებოდა, თუკი მას მსურველი გამოუჩნდებოდა“ [ჭიჭინაძე, 1905:13]. გ. ლისოვსკის ცნობით, მაჭახელში დამზადებული თოფხანე 75 მანეთი ღირებულა, ნალფარა 20 მანეთამდე აღწევდა [Лисовский ,1886;117].

დამბაჩის ლულაც თოფის ლულის მსგავსად მზადდებოდა, ოღონდ მას შედარებით ნაკლები დრო-ორი დღე სჭირდებოდა, თოფის გაკეთებას კი ერთ თვეზე მეტი. შემკულობით დამბაჩები თოფებს არ ჩამოუვარდებოდა, პირიქით, ზოგიერთი მეიარაღე- ხელოსანი დამბაჩას გაცილებით მაღალმხატვრულ დონეზე ამუშავებდა, ოქრო-ვერცხლითა და ძვლით ამკობდა, ვიდრე თოფებს.

მეიარაღე-ხელოსნები თვითონვე ამზადებდნენ თოფის ლულის, ჩახმახის, კონდახის დასამზადებელ იარაღ-ხელსაწყოებს, რომელთა რაოდენობაც შესაბამისი ტერმინოლოგიით სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მოპოვებული ნივთიერი მონაცემებით 30-მდე აღწევს. იარაღ-ხელსაწყოთა ნაწილი ნაწილი იმ მეიარაღე ნაგერვაძეთა მიერაა დამზადებული, რომლებიც XIX საუკუნის 80-იან წლებში მუჰაჯირად გადახვეწილან თურქეთში [კახიძე, 2004:40].

ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების დამზადების მაღალი დონე აჭარაში განაპირობა ერთი მხრივ ლითონის დამუშავების ადგილობრივმა ტრადიციებმა და სამეურნეო თუ სხვა ხასიათის მოთხოვნებმა, მეორე მხრივ, ისტორიულად არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ, რაც უფრო დაძაბული გახადა შემდგომ თურქთა ბატონობამ. მშფოთვარე ცხოვრება აიძულებდა აჭარის მოსახლეობას თან ეტარებინა იარაღი. XIX საუკუნის II ნახევრის მოგზაური- მკვლევარები დ.ბაქარძე, ა. ფრენკელი, ჯ. პალგრევი წერდნენ, რომ განსაკუთრებით ქვედა აჭარაში მამაკაცი თოფის ან ხანჯლის გარეშე იშვიათად დადიოდა. დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა: „ ქვემო აჭარის მცხოვრებნი საერთოდ ყველა იარაღასხმული მგზავრობს, მაგრამ საღორეთელი შინიდანაც არ გამოვა, თუ ზედ არ ასხია თოფი, ფიშტო და იატაგანი“ [ბაქრაძე,1987:43].

აჭარელი მამაკაცი კარგად იყო გაწაფული იარაღის ხმარებაში. თოფის, დამბაჩისა და ხმლით მარჯვედ ხმარებას 7-10 წლის ასაკიდან იწყებდნენ. ხშირად ვარჯიშობდნენ სროლაში და კარგადაც ისროდნენ. დავით წერეთლის ცნობით, „მარტო მაჭახელში 3000 ამორჩეული მსროლელი გამოვა ომში საჭიროების დროს, დარჩეული ვაჟკაცი მსწრაფმსროლელი თოფებით.“[წერეთელი,1878, N 238].

XIX საუკუნეში ევროპული, კერძოდ ინგლისური, ფრანგული, ბელგიური და სხვა უცხოური, აგრეთვე ტულის წარმოების იაფფასიანი იარაღების გავრცელებამ კავკასიასა და საქართველოში

თანდათან შეზღუდა ადგილობრივი იარაღების წარმოება. საომარი იარაღების დამზადება აჭარაში განსაკუთრებით შეიზრუდა ოსმალთა ბატონობის ბოლო ხანებში, რაშიც პოლიტიკურმა ამბებმა ითამაშეს გარკვეული როლი. ოსმალეთის ხელისუფლება შეეცადა გაეუქმებინა საომარი იარაღის დამზადება, რათა იმდროინდელი აჭარის განმათავისუფლებელ მოძრაობას არ ჩავარდნოდა ხელში ბრძოლის საშუალებანი. მიუხედავად ამისა, აჭარაში იარაღი კვლავ იწარმოებოდა და მისი საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მარტო მაჭახლის ხეობაში 1878 წლისათვის საომარი იარაღის მკეთებელი 300 ოსტატი ყოფილა.

საომარი იარაღების ფართოდ წარმოების საბოლოოდ დაცემაზე გარკვეული გავლენა იქონია აგრეთვე საუკეთესო მეიარაღე -ხელოსნების მუჰაჯირად წასვლამ. თუმცა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის I მეოთხედში აჭარასა და ახალციხეში კვლავაც მზადდებოდა ცეცხლსასროლი (თოფი, დამბაჩა) საბრძოლო იარაღები, მაგრამ მას წინანდებურად ფართო მასშტაბი არ ჰქონია. ამასთან ერთად ადგილობრივი და მოსული მეიარაღეები ქარხნული თოფებისა და დამბაჩების დამზადებასაც მისდევდნენ [კახიძე:2004: 41-42].

მაჭახლური წარმოების კაჟიანო თოფი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.(სურ.3). თოფი 1881 წელს მარადიდში მცხოვრებ გავლენიან პირს, მაიორ ახმედ ეფენდი ხალვაშს გადაუცია გურიის ქვეითი რაზმის უფროსის პოლკოვნიკ ერმალო ნიჟარაძისათვის, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდეგ თავისი რაზმით აჭარაში იყო და ადგილსამყოფელი სოფელ ბორჩხაში ჰქონდა. ა. ხალვაშს ე. ნიჟარაძისათვის უამბია, რომ თოფი გაკეთებულია მაჭახლელი ოსტატების მიერ რამდენიმე საუკუნის წინ, როდესაც მისი წინაპრები ჯერ კიდევ ქრისტიანები ყოფილან. მუზეუმისათვის კი თოფი ხმალთან ერთად 1919 წელს გადაუცია ე. ნიჟარაძის ძმას, ქუთაისის თავადაზნაურობის ყოფილ ჰოფმარშალს დავით(დათა) ნიჟარაძეს.

თოფი მაჭახელა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში. (სურ.4). წყარო:ქეთევან ნებიერიძე. იარაღის გარემოცვაში.

https://issuu.com/gnmuseum/docs/169356908-museum-journal-1 (მუზეუმი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2012 წლის დეკემბერი. გვ. 49).

სსიპ აჭარის მუზეუმის-ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია მაჭახლური სახელოსნოს აღდგენილი მაკეტი, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში დაამზადეს ზედა ჩხუტუნეთელმა მჭედლებმა რ. ნაგერვაძემ და ა. ძნელაძემ(**საინ. N 22599).** (სურ.5) სახელოსნო ეკუთვნოდა ჯ. გოგიტიძეს. სახელოსნოში მზადდებოდდა უმთავრესად კაჟიანი თოფები, მერე ფილინთა (კაპსონიანი) თოფები. მასალად გამოიყენებოდა წიფლის ხე. სახელოსნოში არის ე.წ. „თოფის

ჩარხი,“ თოფის ჩახმახის ნაწილები. ასევე სოფელ ცხმორისში არსებული სახელოსნოს იარაღის დასამზადებელი 34 დასახელების იარაღ-ხელსაწყო.(აჭმ N 23397).

დღეს მაჭახლის ხეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელოსნები, რომლებიც ცდილობენ ამ უძველესი ტრადიციის გაგრძელებას, თუმცა ძირითადად დეკორატიულ ნიმუშებს ამზადებენ.ერთ-ერთი მათგანია ზედა ჩხუტუნეთში მცხოვრები ზაზა ნაგერვაზე, რომელსაც აქვს იარაღის სახელოსნო და პატარა მუზეუმი.(სურ.6). ამზადებს სუვენირებს. დამზადებული აქვს 40-მდე კაჟიანი თოფი.ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდში დაცულია ზაზა ნაგერვაძის მიერ 2022 წელს დამზადებული მაჭახლური თოფ „ნალფარას“ იდენტური თოფი,(საინვ. N 23636). (სურ.7). თოფის კონდახი დამზადებულია ნიგვზის ხისაგან. ლულა არის რკინის.გაფორმებულია 7 სალტით. ლულა 8 წახნაგოვანი. ლულის დმ 2.5 სმ. აქვს წარწერა: „ზაზა ნაგერვაძე.“ აღნიშნული თოფი დამზადდა ქალაქ ბათუმის მცხოვრებლების მეზღვაურ ნუკრი დიასამიძისა და ბათუმის ანსამბლ „არსიანის“ ხელმძღვანელის გიორგი ჭანიშვილის შეკვეთით, რომლებმაც გადმოსცეს საჩუქრად ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს.

„მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, 2007 წლის სექტემბერში მაჭახლური წარმოების „მაჭახელად“ წოდებულ თოფს ძეგლი დაუდგეს. (სურ.8). ძეგლი აღმართულია მაჭახლის ხეობის დასაწყისში, იქ, სადაც მდინარე მაჭახელა ჭოროხს უერთდება. ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა მაჭახლობის პირველი დღესასწაულის დღეს, 2007 წლის 25 სექტემბერს. ეს პირველი ძეგლია, რომელიც ქართულ იარაღს ეძღვნება. ამ იარაღით ამაყობდა მაჭახლელი, იცავდა სამშობლოს. ძეგლი მაჭახლური იარაღის დიდება და უკვდავებაა. ძეგლში მაჭახლის ისტორია მოიკითხება. ეს ისტორია დავით წერეთელმა ლაკონურად ასე დაახასიათა: „პატარა მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი.“ „მაჭახელას“ ძეგლის დადგმის, ისე როგორც „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის დაწესების იდეა ეკუთვნის ისტორიკოს-ეთნოგრაფს, ქ/ ჩხუტუნეთის მკვიდრს როინ მალაყმაძეს. ქანდაკების ავტორები არიან ძმები კახა და კობა ხოფერიები. http://www.bazieri.ge/forum/110-895-1 („მაჭახელას“ თოფის ისტორია. 28.03.2013).

ამჟამად შექმნილია და მოქმედებს ტურისტული მარშრუტი „მაჭახელას თოფის გზა.“

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღის დამზადების ორი მთავარი ცენტრი არსებობდა- ერთი იყო ისტორიული ქვემო აჭარა, მეორე- მაჭახლის ხეობა. ამ ცენტრებში დამზადებულ საბრძოლო იარაღებს საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა. ფართო მოწონებით სარგებლობდა არა მარტო თვით რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაჭახლური წარმოების იარაღი კავკასიის ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში აღწევდა. საბრძოლო იარაღების (თოფების და დამბაჩების) დამზადება ქვემო აჭარაში XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. ქარხნული წარმოების შესაბამისი იარაღის შემოტანამ ხელი შეუწყო ადგილობრივი

იარაღის დამზადების ტემპის დაცემას. მაჭახლის ხეობაში იარაღის წარმოების დაქვეითებაზე ზემოაღნიშნულთან ერთად, საუკეთესო მეიარაღე- ხელოსანთა მუჰაჯირად წასვლამაც იქონია გარკვეული გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა.“ 1987

თაბუაშვილი ა. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადების და ფასების საკითხისათვის.ივანე ჯავახიშვილის სახელობის ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.X. თბილისი 2016

კახიძე ნ. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. გამომცემლობა „აჭარა.“ ბათუმი 2004

კახიძე ნ. ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების ისტორიიდან აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. II. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი 1976

კომახიძე თ. აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი. წიგნი I. სს „გამომცემლობა აჭარა.“ ბათუმი 2010

Лисовский В. Чорохский край. Военно статистичесКий очерк. Тифлис, 1886

მურიე ჟან. ბათუმი და ჭოროხის აუზი. სახელმწიფო გამომცემლობა. ბათუმი. 1962

„მაჭახელას“ თოფის ისტორია. 28.03.2013. http://www.bazieri.ge/forum/110-895-1

ნებიერიძე ქ. იარაღის გარემოცვაში. https://issuu.com/gnmuseum/docs/169356908-museum-journal-1 (მუზეუმი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2012 წლის დეკემბერი. გვ. 49).

ქართელი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. თბილისი 2019

ცეცხლაძე ნ. მუზეუმში დაცული თოფი „მაჭახელას“ სახელოსნო. მუზეუმის მაცნე IV. ბათუმი 2011

წერეთელი დ. მაჭახელა. გაზეთი „დროება,“ 1878, N 238

ჭიჭინაძე ზ. საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცემა სამცხე-სათაბაგო და მაჭახელს. სამცხე-საათაბაგო. თბილისი 1905



სურ.1. თოფის ჩარხი

დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში



სურ.2 თოფის ჩარხი (დაცულია მაჭახლის ეთნოგრაფიულ მუზეუმში)



სურ. 3 ქუთაისის მუზეუმში დაცული თოფი მაჭახელა



სურ.4 ქუთაისის მუზეუმში დაცული მაჭახელაში დამზადებული ხმალი



სურ.6 თბილისის ეროვნულ მუზეუმში დაცული თოფი მაჭახელა



სურ.7

მაჭახლური იარაღის სახელოსნო ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში



სურ. 8 ზაზა ნაგერვაძის სახელოსნო



სურ.9 ზაზა ნაგერვაძის დამზადებული თოფი



სურ.9 მაჭახელას თოფის ძეგლი მაჭახლის ხეობაში